

შპს „ირინა“-ს ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები  
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                            | საანგარიშგებო<br>პერიოდი | წინა საანგარიშგებო<br>პერიოდი |
|----------------------------|--------------------------|-------------------------------|
| ნეტო ამონაგები             | 2,787,541                | 2,483,042                     |
| საქონლის გაყიდვიდან        | 2,782,374                | 2,479,782                     |
| მომსახურების გაწვიდან      |                          |                               |
| სამშენებლო ხელშეკრულებიდან |                          |                               |
| სხვა                       | 5,167                    | 3,260                         |

|                                       |           |           |
|---------------------------------------|-----------|-----------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება |           |           |
| საწყისი მარაგები                      | 62,202    | 35,083    |
| მარაგების შესყიდვა                    | 2,472,021 | 2,232,138 |
| გადამუშავების დანახარჯები             |           |           |
| საბოლოო მარაგები                      | 52,623    | 62,202    |
| საერთო მოგება                         | 305,941   | 278,023   |

|                                          |         |         |
|------------------------------------------|---------|---------|
| სხვა შემოსავალი                          |         |         |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 99,350  | 91,500  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | 15,669  | 15,880  |
| საპროცენტო შემოსავალი:                   |         |         |
| საპროცენტო ხარჯი :                       | 27,028  | 61,539  |
| იჯარის ხარჯი                             |         |         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 37,047  | 28,063  |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | 179,094 | 196,982 |

|                   |         |        |
|-------------------|---------|--------|
| საოპერაციო მოგება | 126,847 | 81,041 |
|-------------------|---------|--------|

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

|                                                                        |         |        |
|------------------------------------------------------------------------|---------|--------|
| ფინანსური აქტივები                                                     |         |        |
| მარაგები                                                               |         |        |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                             |         |        |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგალუტო ოპერაციებიდან:                |         |        |
| მიღებული დივიდენდები                                                   |         |        |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ზარჯი)                          |         |        |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 126,847 | 81,041 |
| მოგების გადასახადი                                                     |         |        |
| მოგება/(ზარალი)                                                        | 126,847 | 81,041 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                     | საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღი | წინა საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღი |
|-----------------------------------------------------|------------------------------------------|-----------------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |                                          |                                               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 19,120                                   | 10,807                                        |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 0                                        | 738                                           |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი |                                          |                                               |
| მარაგები                                            |                                          |                                               |
| - მზა პროდუქცია                                     |                                          |                                               |
| - სხვა                                              | 52,623                                   | 62,202                                        |
| საინვესტიციო ქონება                                 |                                          |                                               |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |                                          |                                               |
| ბიოლოგიური აქტივები                                 |                                          |                                               |
| - თვითღირებულების მოდელით                           |                                          |                                               |
| - გადაფასების მოდელით                               |                                          |                                               |
| გუდვილი                                             |                                          |                                               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        |                                          |                                               |
| ძირითადი საშუალებები                                | 114,123                                  | 120,793                                       |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში |                                          |                                               |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |                                          |                                               |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>185,866</b>                           | <b>194,540</b>                                |
| <b>ვალდებულებები</b>                                |                                          |                                               |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                        |                                          |                                               |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 5,539                                    | 7,855                                         |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები               |                                          |                                               |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                  |                                          |                                               |
| საგადასახადო ვალდებულებები                          | 100                                      | 780                                           |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                          |                                          |                                               |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                     |                                          |                                               |

|                                    |         |         |
|------------------------------------|---------|---------|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 172,329 | 184,852 |
| მიღებული გრანტები                  |         |         |
| სხვა ვალდებულებები                 |         |         |
| სულ ვალდებულებები                  | 177,968 | 193,487 |

|                                                                                             |         |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |         |         |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |         |         |
| საემისიო შემოსავალი                                                                         |         |         |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                |         |         |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               | 7,898   | 1,053   |
| გადაფასების რეზერვი                                                                         |         |         |
| სხვა რეზერვები                                                                              |         |         |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი                            |         |         |
| არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)                           |         |         |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 7,898   | 1,053   |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 185,866 | 194,540 |

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „ირინა“ (ს/ნ 248383985) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1996 წლის 5 ნოემბრიდან. კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, ხელვაჩაური ს. მახო მე-2 ქ. N 1, კომპანიის დირექტორი არის შაქრო ზაქარაძე (პ/ნ: 61006001143). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა აირისებრი საავტომობილო სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა დიზელის სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ბენზინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თანხაქოს ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა სხვა სათბობით.
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

### **მოგების გადასახადი**

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ 9 წარმოშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

### **აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია. ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:
- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

შენობები 5%

მანქანა დანადგარები 20%

ოფისის აღჭურვილობა 20%

ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის

### **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### ამონაგები

საცალო ვაჭრობა აირისებრი საავტომობილო სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში ,  
საცალო ვაჭრობა დიზელის სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში , საცალო ვაჭრობა  
ბენზინით სპეციალიზებულ მაღაზიებში , საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში ,  
უპირატესად საკვები პროდუქტებით , სასმელებით ან თანხაქოს ნაწარმით , საბითუმო  
ვაჭრობა სხვა სათბობით

2017 წელი 2 479782

2018 წელი 2 782374

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                 | 2018 წელი | 2017 წელი |
|---------------------------------|-----------|-----------|
|                                 | ლარი      | ლარი      |
| ნაღდი ფული სალაროში ლარებში     | 18 660    | 10 428    |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 460       | 379       |

სავაჭრო მოთხოვნები

|                                 | 2018 წელი | 2017 წელი |
|---------------------------------|-----------|-----------|
|                                 | ლარი      | ლარი      |
| მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან | 0         | 738       |

სავაჭრო ვალდებულებები

|                                    | 2018 წელი | 2017 წელი |
|------------------------------------|-----------|-----------|
|                                    | ლარი      | ლარი      |
| ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან | 5 539     | 7 855     |

საგადასახადო ვალდებულებები

|                          | 2018 წელი | 2017 წელი |
|--------------------------|-----------|-----------|
|                          | ლარი      | ლარი      |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | 100       | 780       |

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

საკრედიტო ინსტიტუტი :

სს „ თიბისი ბანკი “ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 8 % (დოლარი)

| 2018 წ.      | 2017 წ.      |
|--------------|--------------|
| 31 დეკემბერი | 31 დეკემბერი |
| ლარი         | ლარი         |
| 172 329      | 184 852      |

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გაცემის ნებართვა გასცა  
2019 წლის 26 სექტემბერს .

შპს ირინა-ს

დირექტორი : შაქრო ზაქარაძე

Handwritten signature

